

შპს „ფერმო ფენსი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	178945	47253	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	360271	351904	3.2
გადახდილი ავანსები	340479	95333	3.3
მარაგები	1793119	1396085	3.4
მ.შ. - მზა პროდუქცია	23757		
- სხვა მარაგი	1769362		
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	135514	52837	3.5
სხვა არამატერიალური აქტივები	1542	1435	3.6
ძირითადი საშუალებები	491849	445556	3.6
სულ აქტივები	3301719	2390403	
ვალდებულებები			
ფინანსური ოჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	369244	388881	3.7
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	502		
საგადასახადო ვალდებულებები	2473	45583	3.8
გამოუმუშავებელი შემოსავალი	52701		3.9
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		34402	3.10
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		93529	3.9
სულ ვალდებულებები	424920	562395	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	50	50	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2876749	1827958	
სულ საკუთარი კაპიტალი	2876799	1828008	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3301719	2390403	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიპ სელმან აპაიდინ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	9483949	8027614	3.12
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	9483949	8027614	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7336894	-6500886	
- საწყისი მარაგები	-1396085	-1020141	
- მარაგების შესყიდვა	-7733927	-6876830	
საერთო მოგება	2147055	1526728	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7806	9871	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-382520	-320192	
ცვეთა და ამორტიზაცია	-54901	-42606	
საპროცენტო შემოსავალი	2		
საპროცენტო ხარჯი	-388	-14531	
იჯარის ხარჯი	-201407	-164062	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-157152	-157661	
სულ საოპერაციო ხარჯები	-788560	-689181	
საოპერაციო მოგება	1358495	837547	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-24256	6324	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	11956	-210	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1346195	843661	
მოგების გადასახადის ხარჯი	-2667	-327	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1343528	843334	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1343528	843334	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1828008	1021517	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-294737	-36843	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2876799	1828008	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიპ სელმან აპაიდინ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	11110006	9449703
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-8588278	-7594479
სხვა	-2005917	-1547125
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	515811	308099
გადახდილი მოგების გადასახადი	-1255	-6200
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	514556	301899
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-100923	-47051
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-100923	-47051
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		121970
სესხის ძირის გადახდა	-34248	-376820
სესხის პროცენტის გადახდა	-388	-14531
დივიდენდების გადახდა	-280000	-35000
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-314636	-304381
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	98997	-49533
სავალუტო კურსის ეფექტი	32695	15894
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	47253	80892
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	178945	47253

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიპ სელმან აპაიდინ

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ფერმო ფენსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2010 წლის 05 მარტს საჯარო რეესტრში კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404856107, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დილომი ფარნავაზის გამზ. ავტოსადგომის (პურის საცხოვრის) მიმდებარედ. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2010 წლის 24 მარტს.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია სალიპ სელმან აპაიდინ, (პ.ნ.41260946608, U 01373806, 01495000263).

1.3. კომპანიის დირექტორია სალიპ სელმან აპაიდინ, (პ.ნ.41260946608, U 01373806, 01495000263)).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით, მზა ლით.ნაკ.წარ-ბა მანქანა და მოწყობილობების გარდა. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 2 ადგილიდან (თბილისი, ბათუმი).

1.6. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს მეკავშირე საწარმო.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის).

ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო

ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი

დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 6,67 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 6,67 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2019 წელს: 1 USD=2.7789 ლარი;

1 EUR=3.1226 ლარი.

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9913 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	110540	46977
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	68397	275
ევროები საბანკო ანგარიშებზე	8	0
სულ:	178945	47253

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“ და სს „ზირაათ ბანკში“.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (რეზიდენტი დებიტორები)	325280	320338
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან (არარეზიდენტი დებიტორები)	34991	31566
სულ:	360271	351904

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო მოთხოვნები არის გადაუხდელი მოთხოვნები საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 142 დებიტორი 31.12.2019 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	138057	2214
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	202422	93119
სულ:	340479	95333

2019 წლის ბოლოსთვის კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი შედგება როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ საწარმოზე გადახილი ავანსებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნებისაგან. ასევე წინასწარ გადახდილი სადაზღვევო შენატანისაგან.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	0	1350448
ნედლეული და მასალები	0	23003
მზა პროდუქცია	23757	20613
სხვა მარაგი	1769362	2023
სულ:	1793119	1396085

მარაგები შედგება სარემონტო რკინა-კავეულის მასალებისა და სპორტულ გასართობი დანიშნულების საქონელისაგან, ასევე საწვავ-საცხები მასალებისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წინასწარ გადახდილი ავანსის დღე	5376	11205
წინასწარ გადახდილი მოგება	43191	6195
ჩასათვლელი დღე	64966	30869
სხვა	21981	4568
სულ:	135514	52837

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინსწრებით გადახდილ გადასახადებს, მათ შორის მიღებული ავანსის დამატებითი ღირებულების გადასახადს.

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხ ული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეო ბით
მიწის ნაკვეთები	289019			289019	0	0	289019
ნაგებობები	6578	0	341	6920	0	341	7261
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	8108	5660	1671	4119	2373	865	2611
ავეჯი	1006	950	776	832	0	665	1497
სარეკლამო საშუალებები	477	0	220	698	0	220	918
მსუბუქი ავტომობილები	51877	29532	13802	36147	34000	6608	8755
სხვა ავტოტრანსპორტი	9807		4563	14370	0	4563	18933
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	56411	4352	22670	74728	6010	21979	90698
იჯარით აღებული ქონების კუთვლიანობა	22567	15035	6101	13632	0	4743	18376
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	4844	4238	4486	5092	4668	2349	2774
არამატერიალური აქტივები	1542	379	271	1435	0	271	1706
დაუმთავრებელი მშენებლობა	41155						
სულ:	493391	60147	54901	446991	47051	42606	442546

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 201068 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 233573.3 ლარი.

არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“-ს და საქპატენტიდან მიღებული მოწმობისაგან, არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 1797 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 1525 ლარი.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	362252	388881
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	6992	
სულ:	369244	388881

3.8. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება (ერთიანი ბარათი)	2473	45583
სულ:	2473	45583

3.9 გამოუმუშავებელი შემოსავალი და სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	52701	87287
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6242
სულ:	52701	93529

3.10 მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
საქართველოს ბანკი GGLCA000267262-5368146-7385305	0	34402
სულ:	0	34402

სს „საქართველოს ბანკიდან“ აღებული სესხი არის აშშ დოლარში. 2018 წლის ბოლოს გადასახდელი სესხი აშშ დოლარში შეადგენდა 12853.08USD-ს, რომელიც სრულად დაფარულია 2019 წლის მარტში.

3.11 ნეტო ამონაგები

კომპანიის ნეტო ამონაგები მთლიანად შედგებოდა რკინა-კავეულისა და სხვა სამშენებლო-სარემონტო მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისგან.

3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
რეკლამის ხარჯები	(1758)	(2526)
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(5051)	0
მიწოდების სხვა ხარჯები	(13443)	(5488)
საკანცელარიო ხარჯები	(3638)	(1992)
კომუნიკაციის ხარჯები	(8754)	(6996)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(4443)	(4003)
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(12715)	(11597)
ელექტროენერგია და გაზი (საერთო-ადმინისტრაციული)	(11787)	(10485)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(5085)	(5085)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(19280)	0
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	(1583)	(1937)
საბანკო ხარჯები	(22276)	(17323)
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(5569)	(1966)
ავტომანქანების და ძს საექსპლუატაციო ხარჯი	(11457)	(5327)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(505)	(75)
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	(29809)	(82862)
სულ:	(157152)	(157661)

3.13. სასამართლო დავები

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2019 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	178945	47253	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	360271	351904	3.2
გადახდილი ავანსები	340479	95333	3.3
მარაგები	1793119	1396085	3.4
მ.შ. - მზა პროდუქცია	23757		
- სხვა მარაგი	1769362		
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	135514	52837	3.5
სხვა არამატერიალური აქტივები	1542	1435	3.6
ძირითადი საშუალებები	491849	445556	3.6
სულ აქტივები	3301719	2390403	
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	369244	388881	3.7
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	502		
საგადასახადო ვალდებულებები	2473	45583	3.8
გამოუმუშავებელი შემოსავალი	52701		3.9
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		34402	3.10
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		93529	3.9
სულ ვალდებულებები	424920	562395	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	50	50	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2876749	1827958	
სულ საკუთარი კაპიტალი	2876799	1828008	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3301719	2390403	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიპ სელმან აპაიძინ

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	9483949	8027614	3.12
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	9483949	8027614	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7336894	-6500886	
- საწყისი მარაგები	-1396085	-1020141	
- მარაგების შესყიდვა	-7733927	-6876830	
საერთო მოგება	2147055	1526728	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7806	9871	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-382520	-320192	
ცვეთა და ამორტიზაცია	-54901	-42606	
საპროცენტო შემოსავალი	2		
საპროცენტო ხარჯი	-388	-14531	
იჯარის ხარჯი	-201407	-164062	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-157152	-157661	
სულ საოპერაციო ხარჯები	-788560	-689181	
საოპერაციო მოგება	1358495	837547	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-24256	6324	
მიღებული დივიდენდები	11956	-210	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი			
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1346195	843661	
მოგების გადასახადის ხარჯი	-2667	-327	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1343528	843334	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	1343528	843334	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1828008	1021517	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-294737	-36843	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2876799	1828008	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____ სალიპ სელმან აპაიდინ

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	11110006	9449703
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-8588278	-7594479
სხვა	-2005917	-1547125
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	515811	308099
გადახდილი მოგების გადასახადი	-1255	-6200
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	514556	301899
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისათვის	-100923	-47051
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-100923	-47051
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა:		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		121970
სესხის ძირის გადახდა	-34248	-376820
სესხის პროცენტის გადახდა	-388	-14531
დივიდენდების გადახდა	-280000	-35000
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-314636	-304381
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	98997	-49533
სავალუტო კურსის ეფექტი	32695	15894
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	47253	80892
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	178945	47253

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____

სალიპ სელმან აპაიდინ

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

